პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 225 (3709)

17 ნოემბერი, 1968 წ. კვირა. ფასი 8 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета физической культуры и спорта при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯჯეფლი ეგეკეგი

● **მეხიკო,** 15 ნოემბერი. ბოლო 8 სპორტსმენმა დასტოვა ოლიმპიური სოფელი, რის შემდეგაც იგი ოფიციალურად დაიკეტა. დაახლოებით 10 ათასი სპორტსმენისა და ოფიციალური პირის — XIX თამაშების მონაწილეებისა და სტუმრების ყოფილი ადგილსამყოფელი ახლა უბრალოდ მექსიკის დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონად იქცევა. ფირმა, რომელმაც დააფინანსა სოფლის მშენებლობა, უკვე შეუდგა ბინების გაყიდვას.

● *ქენვეკ, 15 ნოემბერი. სამთო კურორტი სენ-მორიცი, რომელიც უკვე ორჯერ — 1928 და 1948 წლებში მასპინძლობდა თეთრ ოლიმპიადას, „კენჭს იყრის“ 1976 წლის თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორობის მაძიებელთა შორის. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრების ჩატარების სურვილი ამას წინათ ციურიხის ქალაქის ხელისუფლებმაც გამოთქვეს. როგორც ჩანს, ამ დავაში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა.*

● **სტოკჰოლმი, 15 ნოემბერი.** შვეციის 1968 წლის საუკეთესო სპორტსმენის საპატიო მედალი მიეკუთვნა ცნობილ მოთხილამურე ტოინი გუსტაფსონს გრენობლის თეთრ ოლიმპიადაში მოპოვებული ორი პირადი ოქროსა და ერთი გუნდური ვერცხლის მედლისთვის. გუსტაფსონი მეორე ქალია, რომელმაც გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ ყოველწლიური ტრადიციული ჯილდო დაიმსახურა. პირველი იყო რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჯეინ სედერკვისტი.

● **ტუნისი, 15 ნოემბერი.** მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონს 5 ათას მეტრზე რბენაში და 10-კილომეტრიან მანძილზე შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორს მ. გაუდის ამ წარმატებებისთვის ლეიტენანტის ჩინი მიენიჭა. ეს განაცხადა ტუნისის პრეზიდენტმა ჰაბიბ ბურგიბამ, როცა სასელგანთქმულ სტაიერს გაუწია მასპინძლობა.

● **ბეირუთი, 15 ნოემბერი.** ლიბანის დედაქალაქში ჩამოვიდა მოსკოვის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელმაც პირველ ამხანაგურ მატჩში ფარ-ხმალი დააყრევინა ადგილობრივ სომხურ სპორტკლუბ „ანდრანიკს“ — 82:35. ლიბანელი მაყურებელი გულთბილად შეხვდა საბჭოთა სპორტსმენებს.

● *ბუქარესტი, 15 ნოემბერი. აქ მიმდინარეობს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრება „ბუქარესტის თასზე“. მეორე გამარჯვებას მიაღწიეს იუგოსლავიელებმა, რომლებმაც ამჯერად დაამარცხეს უნგრეთის ნაკრები — 14:12.*

● **კარლ-მარქს-შტადტი, 15 ნოემბერი.** დღეს აქ დაიწყო ფიგურისტების ტრადიციული შეჯიბრება „ლურჯი მახვილის“ თასზე. ასპარეზობენ ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. შეჯიბრებაში პირველად გამოვლენ ბულგარელები. საბჭოთა გუნდში შედიან ვ. მეშკოვი, ვ. კურენბინი, მოცეკავეთა წყვილი ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი. ორი სპორტული წყვილი — ლ. სუსლინა და ა. ტიხომიროვი, გ. კარელინა და გ. პროსკურინი.

● **ბერლინი,** 15 ნოემბერი. ზეგ აქ იწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ეძღვნება ჰავანაში მსოფლიო ჩემპიონის ე. ლასკერის დაბადებიდან 100 წლისთავს. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან ითამაშებენ დ. ბრონშტეინი, ე. ვასიუკოვი, ა. ზაიცევი და ა. სუეტინი. მემორიალის მთავარი მსაჯია ს. ფლორი, რომელიც ახლოს იცნობდა ლასკერს და არაერთხელ შეხვედრია მას საერთაშორისო ტურნირებში საჭადრაკო დაფასთან.

● **ნალჩიკი,** 15 ნოემბერი. სიმაღლოვან-ტექნიკური ასვლების კლასში სსრ კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიხვეჭეს ყაბარდო-ბალყარეთის სპარტაკელმა მთამსვლელებმა. ცხრა დღის მანძილზე, რომელთაგან შვიდ დღეს ძალიან ცუდი ამინდი იყო, რვა მამაცმა მთამსვლელმა დაიპყრო ცენტრალური პამირის მწვერვალი ოგბუ (6050 მეტრი), გზად გადალახა ძნელად მისადგომი, თითქმის ორკილომეტრიანი ჩრდილოეთის კედელი. გუნდის კაპიტანია მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი გ. სტეპანოვი, მწვრთნელი — ვ. აუგოლნი. გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, ნალჩიკის საწარმოთა ინჟინრები, მაღალმთიანი გეოფიზიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები.

„არც ერთი საათი, არც ერთი წუთი უოლიმპიადოდ“ — ამ დევიზის პოპულარობა მექსიკაში საფუძვლად დაედო XIX ოლიმპიური თამაშებისადმი იმ არნახულ ინტერესს, რომელმაც ბოლოსდაბოლოს მასობრივი ფსიქოზის სახე მიიღო. ოლიმპიადის სული იგრძნობოდა ყველგან და ყველანი ოლიმპიადის ამაღლებული იდეებით იყვნენ გამსჭვალულნი XIX ოლიმპიურმა თამაშებმა დაიპყრო და დაიმონა მექსიკა.

სურათზე: ტიპიური სურათი — მეხიკო ოქტომბერში. სტადიონზეა „დასახლებული“ მთელი ოჯახი: სპორტის მოტრფიალე მამა, მოდას აყოლილი დედა და „წითელკანიანთა ბელადი“, ცელქი და მოუსვენარი მექსიკელი ბიჭუნა.

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების ფოტორეპორტაჟი იხ. გაშლილ გვერდზე).

ლიდერის მარცხი

გორი, 16 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გაიმართა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის მემორიალის III ტური.

შეჯიბრების ლიდერმა რ. ჯინჯიხაშვილმა წააგო პარტია ლ. გრიგორიანთან. გ. მუკნიაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დიდოსტატ ე. გელერთან. ასევე დაზაგდნენ მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და ე. უბილავა.

მ. ტალ — ე. გუფელდის, ბ. გურგენიძე — ა. ბოკუჩავასა და ი. ჩიქოვან — ზ. მიქაძის პარტიები გადაიდო.

დღეს მოჭადრაკეები დაამთავრებენ გადადებულ პარტიებს.



თბილისის „ბურევესტნიკის“ პირველი გამარჯვება

◆ *ბუქარესტი, 16 ნოემბერი.* რუმინეთის დედაქალაქის თასზე მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა პირველი წარმატება იზეიმა: ანგარიშით 22:21 (13:11) დაამარცხა ესპანეთის ნაკრები. ესპანელებმა, რომლებმაც მანამდე ფავორიტებთან — იუგოსლავიისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებთან შეხვედრებში ორი მარცხი იწვნიეს, პირველივე წუთებიდან აკრძნობინეს თბილისელებს, რომ ისინი დღეს მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვიან. მაგრამ თბილისელებმა შეაჩერეს მეტოქეთა პირველი სახიფათო იერიშები, ხოლო მე-5 წუთზე გაზდელიანმა ანგარიშიც გახსნა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქართველი ხელბურთელები უკვე საგრძნობლად დაწინაურდნენ (5:1), ხოლო როცა პირველი ტაიმის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 12:5. ასლა ესპანელებმა რამდენიმე მძაფრი იერიში განახორციელეს და ბურთების სხვაობაც შეამცირეს. შესვენების შემდეგ ანგარიში ორჯერ საყაიმო იყო. ესპანელებმა მწვავედ შეუტიეს თბილისელთა კარს, მაგრამ მეკარე ხუციშვილმა საუცხოოდ მოიგერია რამდენიმე სახიფათო ბურთი. თბილისელთა მეტოქეები ამ მატჩში ერთხელაც ვერ დაწინაურდნენ.

◆ **ბევლე (შვეცია), 16 ნოემბერი.** ადგილობრივი ჰოკეისტების გუნდმა „ბრიუნესმა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი წრის საპასუხო მატჩში აქ კვლავ დაამარცხა ოსლოს „ბაალერენგენი“, ამჯერად, ანგარიშით 17:4 (ნორვეგიაში გამართული პირველი მატჩის ანგარიშია 7:3).

◆ **ტოკიო,** 16 ნოემბერი. ცსკა-ს ჰოკეისტებმა დღეს აქ დიდი ანგარიშით (23:4) დაამარცხეს ორი კლუბის—„სეიბუ ტუედოსა“ და „ფურუკავა დენკოს“ ნაკრები.

ჯუჯინ...

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივმა დინამოელებმა და მოსკოვის ტორპედოელებმა დაამთავრეს სსრ კავშირის XXX საფეხბურთო ჩემპიონატში გამოსვლა. მათი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. თბილისელთაგან ორივე გოლის ავტორია გავაშელი, ხოლო მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს სტრელცოვმა და გერშკოვიჩმა. ამრიგად, თბილისის „დინამოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. გავაშელმა წლევანდელ ჩემპიონატში 22 ბურთი გაიტანა და იგი საუკეთესო ბომბარდირისთვის გაზეთ „ტრუდის“ დაწესებული პრიზის მოპოვების სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს.



ქალები ოსინჯეს

ახლახან თბილისში გაიმართა მოსწავლე ხელბურთელთა საქალაქთაშორისო ტურნირი. მახპინძელთა გარდა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

გოგონათა შეჯიბრება წაუგებლად განვლო მოსკოველებმა. მოსკოველებმა ჯერ აზერბაიჯანელები დაამარცხეს (14:8), ხოლო შემდეგ მასპინძლები (16:3).

საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების შეხვედრის შედეგს უნდა გადაეწყვიტა II-III ადგილების ბედი. ხელბურთელებმა ფრედ ითამაშეს — 10:10. საქართველოს ნაკრებს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდა და II ადგილი სუდა.

ჭაბუკთა ტურნირში იმარჯვეს აზერბაიჯანელებმა. მათ დაამარცხეს მოსკოვის ნაკრები (13:11) და ფრედ დაამთავრეს თამაში მასპინძლებთან — 19:19. II ადგილზე გავიდნენ მოსკოველები, რომლებმაც შეძლეს საქართველოს ნაკრების დამარცხება — 29:22. მასპინძლები III ადგილით დაკმაყოფილდნენ. ჭაბუკთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა საქართველოს მეორე ნაკრებიც, მაგრამ მან ყველა შეხვედრა წააგო.

აღნიშნული ტურნირები გაიმართა სსრ კავშირის მოსწავლეთა მომავალი სპარტაკიადისთვის მზადების პროგრამით.

ჯ. ენდელაძე.

ქარში მხოლოდ ქალიშვილები...

მეკარე ქალიშვილები... სად ნახავთ ამას? ხელბურთში.

ბალე საბჭოთა სპორტის მოყვარულებს შესაძლებლობა მიეცემათ ეუყურონ ხელბურთის საუკეთესო ექვსეულთა თამაშს: მოსკოვში გაიმართება ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ჩემპიონი — უნგრეთის ნაკრები, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი — რუმინეთის ეროვნული გუნდი, აგრეთვე, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ნაკრები კოლექტივები.

მომავალი ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის პარასკევს გამართულ სხდომაზე, რომელიც ჩაატარა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. მიხაილოვმა, გადაწყდა: ყველა მატჩი მოეწყობა ლუჟნიკის სპორტის სასახლეში 17-22 დეკემბერს (20 დეკემბერი დასვენების დღეა). ყოველდღე გაიმართება სამი მატჩი, რომელთა სამსაჯოდ 6 სახელმწიფოს არბიტრები არიან მოწვეული.

გამარჯვებული გუნდის მოთამაშეები და მწვრთნელი მიიღებენ ოქროს მედლებსა და ჟურნალ „ოგონიოკის“ დაწესებულ თასს.

შეჯიბრებისთვის გამოუშვებენ სამახსოვრო ნიშნებს, საფოსტო მარკებსა და ღია ბარათებს.

მეხიკო და მეჭსიკელ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



XIX ოლიმპიური
თამაშების დედაქალაქზე
გოგვითხროგენ
ჩვენი სპეციალური
კორესპონდენტები
ნ. გუგუშვილი და
მ. ზარგარიანი.

ოლიმპიური სოფელი — მექსიკელი არქიტექტორებისა და მშენებლების მდიდარი ფანტაზიის პირმშო — მეხიკოს ერთ-ერთ მთავარ საოცრებად იქნა მიჩნეული. ოლიმპიადის დღეებში თავისი ბრწყინვალე შენობებითა და მაგისტრალებით იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში გახლდათ, როგორც დამოუკიდებელი არქიტექტურული ანსამბლი — ქალაქი-თანამგზავრი.

სურათზე: ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი კუთხე.

სურათზე: მეორე უძველესი პროფესიის მსახურნი თავიანთ სამუშაო „ლაბორატ
თესო ნაწილში (ზედ ფინიშთან) იყო მოთავსებული. მექსიკელები ხუმრობდნ
მით უმეტეს, რომ ყოველი ჟურნალისტის განკარგულებაში იყო საწერი მაგიდა, ტ



სპორტული ბაზების სარისხიანობითა და ეფექტურობით მეხიკომ ჩამოიტოვა არა მარტო ჰელსინკი, მელბურნი და რომი, არამედ თავისი „საოცრებებით" აქამდე „დაუმარცხველი" ტოკიოც. ეს არ არის მარტო ჩვენი, ასე ვთქვათ, წმინდა „მექსიკელების" აზრი. ასე ამბობდნენ ისინიც, ვინც ოლიმპიადებს გემო ჯერ კიდევ 1952 წელს გაუსინჯა და აქედან მოყოლებული ერთგულად ემსახურებიან ამ შეჯიბრებებს.

სურათზე: სპორტის, უფრო სწორად კი კალათბურთის სასახლე. ოლიმპიადის ერთ-ერთი უველაზე ორიგინალური და კომფორტაბელური ნაგებობა.



მას შემდეგ, რაც მეხიკო XIX ოლიმპიადის ქალაქად იქნა გამოცხადებული, აცტეკების შთამომავლებმა ყველაფერი იღონეს, რათა ღირსეულად დახვედროდნენ მსოფლიოს სპორტის ინტერნაციონალური ყრილობის დელეგატებს. მეხიკო უზარმაზარი, თანამედროვე ტიპის ქალაქია და მისი გადაყვანა ოლიმპიურ ტალღაზე ადგილობრივ მკვიდრთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახლდათ. და უნდა ითქვას, რომ მათ სამხრეთელებისთვის ჩვეული გულახდილობითა და უშუალობით ოლიმპიადის მფარველობა ეროვნული ღირსების საქმედ მიიჩნიეს და სტუმარ-მასპინძლობის დაუვიწყარი „შედევრები" შექმნეს.

სურათებზე: ასეთი იყო მეხიკო ოლიმპიადამდე (ზევით), ასეთი იყო იგი ოლიმპიადის დღეებში (ქვევით). გარეგნულად ძნელია განასხვავო ქალაქი, სადაც 6 მილიონზე მეტი მოსახლეა და ორ მილიონამდე მანქანა.



ოლიმპიადის ორგანიზატორი ქვეყნის მთავარ შემოსავალს ტელევიზია, კინო და რეკლამა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მეხიკოშიც ტელე და კინომუშაკებს იდეალური სამუშაო პირობები ჰქონდათ შექმნილი.

სურათზე თქვენ ხედავთ სპეციალურ ტელე და კინოლოჟებს, რომლებიც ოლიმპიური სტადიონის რეკონსტრუქციის დროს აშენდა. ეს ლოჟები პირველ და მეორე იარუსებს შორისაა მოთავსებული, მაგრამ ისე, რომ მაყურებლებს ხელი ოდნავადაც არ შეუშალოს.

სიმღერა სიხარულის გამოხატვაცაა და სევდისაც. მეხიკო მზისა და სიმღერების
ჯოს, ან უწვეულოდ მელოდიური სიმებიანი ორკესტრის ხმა. მღერიან პარკებში, ბ





ნაშუადამევს, როცა ახალი ოლიმპიური დღის მოლოდინში მთელი ქალაქი ძილს
სწორედ მაშინ იწყებოდა, როცა ტელეტაიპების რიტმული კაკუნი ცხელ-ცხელ ოლიმპ
მოსკოვისკენ მიერეკებოდა. დღისით კი პრეს-ცენტრში ადგილობრივ ინფორმაციაო
გაჭრილი, რომ შუადამისთვის ისევ ახალი მასალები შეეგროვებინათ.

სურათზე: პრეს-ცენტრის შედარებით უაცრიელი შესასვლელი დღისით

...ი–გულუხვი მასპინძლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ოლიმპიური სტადიონის ყველაზე საუკე-... ყურებას თვით პრეზიდენტი ინატრებდაო, ...ული იაპონური ტელევიზორი — „სონი".



ესეც ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, ოღონდ სამკერდე ნიშნების კოლექციით. ტუნისელი ფო-ტორეპორტიორი მანოუბი 5 ოლიმპიადის მონა-წილეა და მეხიკოში თავს ისე გრძნობდა, როგორც შინ.

ესეც ტიპიური მექსიკური სურათია, ოღონდ იმ კვარტალში, სადაც ოლიმპიური ინტერესების გა-რდა სხვა ინტერესებიც არსებობს, კერძოდ კი, ოჯახი და ყოველდღიური ზრუნვა ამ ოჯახის კეთილდღეობისთვის.



ფეხსაცმლის მწმენდავი ისეთივე ტიპიური მოვ-ლენაა მექსიკისთვის, როგორც, ვთქვათ, სომბრერო ან გიტარა. ფეხსაცმლის მწმენდავები დაძრწიან ქუჩებში ჯგუფებად, ცალ-ცალკე...

...ველ ფეხის ნაბიჯზე ისმის გიტარის, ზან-...იან ქუჩებში...



ბიზნესისა და რეკლამის იმპერია. კოკა-კოლაზე თხზავენ ლექსებს, სიმღერებს... კოკა-კოლაში საკმაოდ დიდ ფულსაც იხდიან, მით უმეტეს, თუ მას სტადიონზე გთავაზობთ ზედმეტად ზრდილობიანი და მომაბეზრებელი „ბიჭი".

ავტომანქანების „მეფემ" ფორდმა სპორტისა და ოლიმპიური იდეების სიყვარულის ახლებური ფორმა გამონახა. მან რეკლამის მიზნით ოლიმპიურ თა-მაშებს რამდენიმე ასეული ასეთი ავტობუსი აჩუქა. სამაგიეროდ, სტადიონებზე, დარბაზებში და ყველგან იქ, სადაც ოლიმპიური ემბლემა კიაფობდა, ნახავდით ოთხფერ წარწერას — „ფორდი".



...პრეს-ცენტრი ფხიზლობდა. ცხოვრება იქ ...ლონდონისკენ, პარიზისკენ, ნიუ-იორკისკენ, ...ეჯაწეობდა. ჟურნალისტები ვლად იყვნენ



ს უ რ ა თ ზ ე: სპორტსმენთა გარ-თობისა და დასვენების საყვარელი ად-გილი ოლიმპიურ სოფელში — საცუ-რაო აუზი, რომელსაც დილიდან გვიან ხაღამომდე უამრავი „მუშტარი" აწყ-დებოდა,



მექსიკელმა „ფერიებმა" — პრეს- ცენტრის თანამშრომლებმა, რომლებსაც ხშირად ჟურნალისტთა კეთილ „ანგე-ლოზებსაც" უწოდებდნენ, საუზმეს მზეს მიფიცხება ამჯობინეს და პლაჟად იქვე მდგარი მანქანის საბარგული გა-მოიყენეს.

ვინ ჩაიცვამს ალისფერ ფაისუნს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბ. კაჩალინი უპასუხებს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტს მ. ბლატინს.

● თქვენ, როგორც ნაკრების უფროს მწვრთნელს, რა მიგაჩნიათ ახლა ყველაზე დიდ საზრუნავად?

— ყველაზე დიდ საზრუნავად? შეიძლება ითქვას, ორი რამ. აუცილებელია გუნდის შემადგენლობის გადახალისება. ნაკრებს ხომ სხვადასხვა მიზეზით მოთამაშეთა მთელი რიგი გამოაკლდა. ამას გარდა, საჭიროა დროის მოგება. დრო ძალიან ცოტა გვაქვს. უკვე მომავალ ზაფხულს უნდა ჩატარდეს შესარჩევი თამაშები მსოფლიო ჩემპიონატისა, რომელიც, როგორც ცნობილია, მეხიკოში გაიმართება 1970 წელს.

● რატომაა, რომ საპასუხისმგებლო მატჩებისთვის მზადების დაწყება, თუ მოჭადრაკეთა ენით ვიტყვით, მუდამ ცაიტნოტში მყოფთ გიხდებათ?

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. და, ჩემი აზრით, მათგან უკანასკნელი არ არის ის, რომ ნაკრები გუნდის მწვრთნელები რაღაც მეტისმეტად ხშირად იცვლებიან... თვითეულს თავისი შეხედულებები აქვს, თავისი პრინციპები, და ეს ბუნებრივია. აი, ახლა ჩვენც გუნდთან მუშაობას ცოტა სხვაგვარად ვაპირებთ, ვიდრე წინამორბედები.

● რაში გამოიხატება ეს?

— პირველ ყოვლისა, გუნდის დაკომპლექტების საკითხისადმი სხვაგვარ მიდგომაში. იმისთვის, რომ ქვეყნის ნაკრების აღისფერი მაისური ჩაიცვა, მარტო დიდი ოსტატის სახელი არ კმარა. მოთამაშე დიდი პატრიოტიც უნდა იყოს და ნათლად გრძნობდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ჩვენ გვჭირდება მონოლითური, ერთი მიზნით შედუღაბებული კოლექტივი. მაშინ გუნდი ყველა ამოცანას გაუმკლავდება.

ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს კარგი მაგალითისთვის შორს წასვლა არ დასჭირდებათ. პირველ ყოვლისა, დავასახელებ ლევ იაშინს. ეს ნათელი სახეა ჩვენს ფეხბურთში, მთელს ჩვენს სპორტში. არ კმარა იმის თქმა, რომ იაშინი მეკარეთა შორის დიდოსტატია. იგი სპორტული რაინდობის, საკუთარი თავისადმი ულმობელი მომთხოვნელობის, თუ შეიძლება ითქვას, სპორტული მოქალაქეობრიობის ეტალონია. იაშინს მუდამ ახსოვს, რომ ხალხისთვის თამაშობს და სწორედ ამაშია, თუ გნებავთ, მისი დიდი პოპულარობის ერთ-ერთი საიდუმლო.

როგორ წარმომიდგენია ნაკრების სახე? აი, მუდამ ისე რომ თამაშობდეს, როგორც ყველა ჩვენგანისთვის ღირსსახსოვარ მაისის მატჩში ითამაშა უნგრეთის ეროვნულ ნაკრებთან ლუჟნიკში! გოლების წყურვილი, დამთრგუნველი ტემპი, გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა და, როგორც ამის შედეგი — ახალ-ახალი, მოულოდნელი კომბინაციების წარმომქმნელი შემოქმედებითი ატმოსფერო მინდორზე.

● ხვდებით თუ არა რაიმე დაბრკოლებას მოთამაშეთა შერჩევის დროს?

— დიახ, თუმცა ახლა ბევრი ახალგაზრდა, ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც ნაკრებში მიწვევას დიდ პატივად და უაღრეს ნდობად მიიჩნევდნენ. სირთულე სხვა ხასიათისაა. კერძოდ, ზოგიერთი ჩვენი საკლუბო გუნდის მენერამ — უგარეგარბებოდ თამაშმა იქამდე მიგვიყვანა რომ ჩვენში ამ ამპლუის კარგ მოთამაშეთა რიცხვი შემცირდა. ამასთან, იკლო კარგი განაპირა მცველების რაოდენობამაც. ასლა, როცა დაცვის ცენტრი თითქმის ყოველ გუნდში საიმედოდაა გამაგრებული, ფლანგური შეტევების გარეშე, მე დარწმუნებული ვარ ამაში, ფონს გასვლა შეუძლებელია...

● როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრებების გამო მოწვეული ნაკრებში მეტრეველი.

— ნაწილობრივ. და საერთოდაც, მე მიმაჩნია, რომ ამ მოთამაშეზე მეტისმეტად ადრე თქვეს უარი. მართალია, მეტრეველი 32 წლისაა, მაგრამ განა ასაკშია საქმე? მეტრეველი ახალგაზრდა მოთამაშეებს არ ჩამოუვარდება არც რეაქციის სისწრაფით, არც სწრაფი აზროვნებით და მით უმეტეს, ბურთთან მოქცევით. ამას გარდა, მან შეინარჩუნა ისეთი ახალგაზრდული თვისებები, როგორიცაა ოპტიმიზმი, ენთუზიაზმი. და მეტრეველის მხარეზეა გამოცდილება (ახალგაზრდობისა და გამოცდილების შერწყმა კი ყოველ გუნდისთვის აუცილებელია), მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა. ტყუილად როდი იყო მიწვეული იგი ფიფა-ს ნაკრებში ბრაზილიის გუნდთან მატჩში მონაწილეობისთვის. ამ შეხვედრაში მან ჩინებულად ითამაშა.

● კიდევ რა ცვლილებებია შეტანილი ნაკრების მზადებაში?

— ჩვენ გვინდა ძირფესვიანად შევცვალოთ გუნდის მზადების სისტემა. მახსოვს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ 22 მარტის ნომერში დაბეჭდილი წერილი, რომელსაც ერქვა „ბურთით დედამიწის გარშემო“. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ კლუბებისგან, ოჯახისგან, ყოველდღიური ჩვეული გარემოსგან მოწყვეტილი ნაკრების ფეხბურთელების ხანგრძლივი საზღვარგარეთული შეხვედრები ნაკლებად უწყობს ხელს გუნდის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას. ამავე წერილში წამოჭრილი იყო ნაკრებისა და კლუბების ურთიერთობის პრობლემა, სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ასეთი პრაქტიკა ზიანს აყენებს კლუბების ინტერესებს, ხელს უშლის მათ დაინტერესებას მოამზადონ მოთამაშეები ნაკრებისთვის.

ჩვენ არ ვაპირებთ მოთამაშენი ხანგრძლივი დროით მოვწყვიტოთ აღმშრდელ კოლექტივებს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვეჩვენება ის, რომ კლუბებისა და ნაკრების ინტერესები სავსებით შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ქვეყნის ნაკრების მოთამაშეებმა მზადება უმეტესად უნდა გაიარონ თავიანთ კლუბებში, რომელთაც ამგვარად აგრეთვე დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ მზადებისთვის. ეფიქრობ, საჭიროა დამუშავდეს იმ მწვრთნელთა წახალისების სისტემა, რომლებიც ნაკრებისთვის ამზადებენ მოთამაშეებს. პატივი და დიდება მწვრთნელს, რომლის აღსაზრდელებიც ქვეყნის ნაკრებში გამოდიან და სამშობლო ფეხბურთის ღირსებას იცავენ!

ნაკრების კოლექტივში მიდიან უკვე ჩამოყალიბებული ოსტატები. აქ, ჩვენთან მათ უნდა მიიღონ მომზადება ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ტაქტიკური... ამხანაგური მატჩების წინ განზრახული გვაქვს ფეხბურთელები 3-4 დღით შევკრიბოთ, საპასუხისმგებლო ორთაბრძოლების წინ — თითო კვირით, დიდი-დიდი — ათი დღით. რამდენადაც ოფიციალური შეხვედრების ვადები წინასწარაა ცნობილი, აუცილებელია ჩვენს შინაურ კალენდარში შესაბამისი „ფანჯრები“ გავითვალისწინოთ.

● თქვენ ლაპარაკობდით ნაკრები გუნდის მნიშვნელოვან გადახალისებაზე. მოთამაშეთა მზადების დრო კი მცირდება. წინააღმდეგობა ხომ არ არის? ხომ არ მოახდენს ეს გავლენას ძირითად მოთამაშეთა და, საერთოდ, მთელი გუნდის შეთამაშებაზე?

— რა თქმა უნდა, ამას, როგორც ყველა სხვა მოვლენას, აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. რასაკვირველია, შეთამაშების მხრივ ჩვენ რაღაცას ვიზარალებთ. მაგრამ ამავე დროს... გახსოვთ სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრები გუნდების მატჩი ლენინგრადში? ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები ის-ის იყო, ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნდნენ, დაქანცულები იყვნენ და მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ცდა ჩაეტარებინათ. მათ შექმნეს თითქმის ახალი გუნდი, რომელშიც უმთავრესად ახალგაზრდა მოთამაშეები შეიყვანეს. მერე, რა გგონიათ? შეუთამაშებელმა, სრულიად მოუმზადებელმა გუნდმა წარმატებით ჩაატარა მატჩი, განსაკუთრებით, მეორე ტაიმი.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვსურს მეტი დრო გვქონდეს ნაკრების წვრთნისთვის, მაგრამ ისიც გვესმის, რომ კლუბებიდან მოთამაშეთა მოწყვეტა მხოლოდ საკლუბო გუნდების თამაშის კლასის საერთო დაქვეითებას შეუწყობს ხელს, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მთელ ჩვენს ფეხბურთს და შეიძლება ქვეყნის ნაკრებსაც. აი, რატომ გამოვყავით საგაისოდ წვრთნისთვის მხოლოდ 52 დღე...

● რით იქნებიან დაკავებული ნაკრების მწვრთნელები დანარჩენ დროს?

— მეც და ევგენი გორიანსკიც ვესტუმრებით ხოლმე იმ საკლუბო გუნდების საწვრთნელ ბაზებს, რომელთა ფეხბურთელებიც ნაკრებში გამოვლენ. ვესტუმრებით ზოგჯერ მთელი კვირითაც, არა მხოლოდ იმიტომ, რომ შევამოწმოთ, როგორ სრულდება ჩვენი დავალება. მთავარია ისიც, რომ იცოდე მოთამაშის ყოველდღიურ გარემოს. უამისოდ შეუძლებელია მისი ფსიქიკის გაგება. ამას გარდა, ჩვენ უფრო ახლოს გავეცნობით იმ მწვრთნელებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ფეხბურთელებთან. მათთან საუბრებისა და დისკუსიების დროს ვეცდებით საკლუბო გუნდების მესვეურებმა უკეთ გაიგონ ჩვენი მოთხოვნები და მისწრაფებანი, ჩვენის მხრივ კი ჩავწვდეთ მათს საზრუნავსა და პრობლემებს. სიმბოლური „ნაკრები — კლუბები“ ძალიან მრავალფეროვანი უნდა იყოს კავშირის მხრივ. კიდევ ერთხელ მსურს ხაზგასმით აღვნიშნო: ნაკრების ბედი უშუალოდ დამოკიდებულია ჩვენი საკლუბო ფეხბურთის მდგომარეობაზე. მაგალითად, საიდუმლო როდია, რომ საბჭოთა ფეხბურთელების წარმატებას 50-ანი წლების ბოლოს ბევრად განაპირობებდა მოთამაშეთა ჩინებული ანსამბლი მოსკოვის „სპარტაკისა“, რომლის ბაზაზეც ჩვენი ნაკრები გუნდი ჩამოყალიბდა.

● კლუბების მწვრთნელთა მიმართ თუ გაქვთ რაიმე პრეტენზიები?

— რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ყველა პრობლემა ხვალვე გადაიჭრება. საჭიროა ხანგრძლივი, ჩაკირკიტებული, მიზანდასახული მუშაობა. მე უკვე ის მიმაჩნია დიდ პროგრესად, რომ ჩვენი მწვრთნელები ახლა უფრო ზრუნავენ იერიშზე. შემტევი ძალა ჩვენი წამყვანი გუნდებისა, როგორიც არიან კიევის „დინამო“, „სპარტაკი“, „ტორპედო“, ცსკა, მოსკოვის „დინამო“, უთუოდ გაიზარდა. ჩემი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ ამ გუნდების უმეტესობას სათავეში უდგანან ახალგაზრდა მწვრთნელები, ახლო წარსულში იერიშის ბრწყინვალე ოსტატები. ბობროვი, ბესკოვი, სიმონიანი, ივანოვი... ამ ხალხს ზიზღს ჰგვრის დაცვის „ციხე-სიმაგრეები“, იზიდავს იერიშის სტიქია. ისინი გამუდმებით ეძებენ ახალ-ახალ გზებს კარის ასაღებად. თვითეული თავისებურად ეძიებს. და მაინც, ჯერჯერობით ყველა იმ ტაქტიკურ სისტემაში, ჩვენი გუნდები რომ იყენებენ, თავდამსხმელთა რიცხვი მუდამ ნაკლებია მცველთა რაოდენობაზე. რასაკვირველია, დაცვაში თამაში რანდენადმე გამარტივდა, სამაგიეროდ, რთულდება ფორვარდების ამოცანა, რომლებისთვისაც კომბინაციური თამაშის წარმართვა არც ისე იოლია. აი, ცოტა არ იყოს, რატომ მაღელვებს, რომ ჩვენში მრავლად გამოჩნდნენ ერთი ტიპის ფორვარდები. მაგალითად, ბიშოვეცი, გერშკოვიჩი, ხმელნიცკი... ისინი ძლიერნი არიან პირისპირ ბრძოლაში, შეუძლიათ მოატყუონ ნებისმიერი მცველი, მაგრამ ყოველთვის ვერ გრძნობენ სად და როდისაა საჭირო ბურთის გადაცემა იერიშის დასაგვირგვინებლად... ჩვენ კი გვსურს ნაკრებს დავუბრუნოთ თამაშის ფართო კომბინაციური სტილი, რომლითაც მუდამ გამოირჩეოდა ჩვენი ფეხბურთი...

● ესე იგი, ვარსკვლავები არ გვჭირდება...

— არა, ვარსკვლავები, სოლისტები გვჭირდება და ძალიანაც გვჭირდება. ასეთი ვარსკვლავები ყოველი მაღალი კლასის გუნდს ჰყავს. მაგრამ ფეხბურთი ხომ კოლექტიური თამაშია. მსოფლიოს ნაკრები მთლიანად ვარსკვლავებისგან შედგება, მაგრამ ეს მაინც ანსამბლია, რადგან ასეთ ვარსკვლავებს ყველაფერი შეუძლიათ. მაგრამ აბა, სცადეთ და იერიშში ჩართეთ სამი სოლისტი, რომელთაც კომბინაციური თამაში არა აქვთ ნასწავლი...

● თუ შეიძლება, გვითხარით რამდენიმე სიტყვა უახლოეს გეგმებზე.

— გაისად ამხანაგური შეხვედრების მთელ სერიას ჩავატარებთ, ამასთან, ძლიერ მეტოქეებთან. მაგალითად, ვფიქრობთ, რომ ჩვენში ჩამოვლენ შვეიცის, გდრ-ის, იუგოსლავიის, შეიძლება, ჰოლანდიის გუნდები. ამასთან, გველის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ოთხი შეხვედრა თურქეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებთან. იმედი გვაქვს, რომ საწვრთნელი შეხვედრები დაგვეხმარება შემადგენლობის საბოლოო დადგენასა და თამაშის განმტკიცებაში.

● სად მოემზადება ნაკრები?

— ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა კი, მართალი გითხრათ, არ შეიძლია... სადაც გაგიშვებენ. ჯერჯერობით ნაკრები გუნდი, აქეთ-იქით „დახეტიალობს“, მას თავისი საწვრთნელი ბაზა არა აქვს. ეს რომ აუცილებელია, ამ აზრს თითქოს ყველა ეთანხმება, მაგრამ ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ პროექტი, რომელიც ყველამ მოწონა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამაზე წინ საქმე არ წასულა... საკუთარი ბაზა კი, რომ იცოდეთ, როგორ გვჭირდება! მით უმეტეს, რომ გაისად რამდენიმე ნაკრები გუნდის შექმნას ვაპირებთ...

და მაინც, მე და გორიანსკის იმედი გვაქვს, რომ ნაკრებს საპასუხისმგებლო შეხვედრამდე საბრძოლოდ მომზადებულს მივიყვანთ. რამდენიმე სიტყვა ჩემს თანაშემწეზე. მიუხედავად ახალგაზრდობისა, იგი გამოცდილი, ერუდირებული მწვრთნელი და ცოდნისმოყვარე კაცია. მასთან მუშაობა ძალიან სანტერესოა.

„კომსომოლსკაია პრავდა“, № 266.

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციაში

ფეხბურთის ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეიძლება გუნდების თვითნებურად გაშვება დასასვენებლად. ნორმალური წვრთნა ოსტატ ფეხბურთელთა ყველა გუნდში მთელი ნოემბრის მანძილზე უნდა გრძელდებოდეს, დასვენება კი, დადგენილი წესის შესაბამისად, ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს. გათვალისწინებულია, რომ გუნდები დეკემბერში დაისვენებენ, იანვრის პირველ რიცხვებიდან კი კვლავ შეუდგებიან წვრთნას.

ამასთან, ფედერაცია მწვრთნელთა ყურადღებას მიაქცევს გუნდების დასასვენებლად წასვლის წინ ფეხბურთელთა დასკვნითი საერთო შეკრებების ჩატარებას, სადაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით განხილული უნდა იქნეს კოლექტივების მუშაობის შედეგები:

რესპუბლიკის ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად, ეს შეკრებები ფედერაციის წარმომადგენლის მონაწილეობით უნდა ჩატარდეს. ამ მიზნით ფედერაციამ დაამუშავა შეკრებათა გრაფიკი, რომელიც მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

საქართველოს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების საანგარიშო-შემაჯამებელი შეკრებების გრაფიკი

შეკრების ჩატარების თარიღი	გუნდის დასახელება
20 XI	„დილა“ (გორი)
21 XI	„სპარტაკი“ (ცხინვალი)
21 XI	„მეტალურგი“ (რუსთავი)
23 XI	„ალაზანი“ (გურჯაანი)
24 XI	„კახეთი“ (თელავი)
27 XI	„მეშახტე“ (ტყიბული)
28 XI	„ტორპედო“ (ქუთაისი)
26 XI	„მაღაროელი“ (ჭიათურა)
25 XI	„გურია“ (ლანჩხუთი)
26 XI	„მერცხალი“ (მახარაძე)
27 XI	„შუქურა“ (ქობულეთი)
28 XI	„დინამო“ (ბათუმი)
28 XI	„დინამო“ (სოხუმი)
29 XI	„ენგური“ (ზუგდიდი)
30 XI	„კოლხეთი“ (ფოთი)
2 XII	„ლოკომოტივი“ (თბილისი)
3 XII	„დინამო“ (თბილისი).

ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვება მოსკოვში

მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონის ცენტრალურ მინდორზე გაიმართა საქალაქთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ გაზეთ „იზვესტიისა“ და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის გუნდები.

საინტერესოდ თამაში დამთავრდა ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1.

გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზი, ხოლო მასპინძლებს — გაზეთების „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრების“, „თბილისისა“ და „ლელოს“ რედაქციების მიერ დაწესებული ბრილის თასი და საჩუქრები. (საქდესი).

თასის მფლობელთა ტურნირი

ბონტევიდეო, 15 ნოემბერი. ურუგვაის დედაქალაქში სტარტი აიღო საინტერესო საფეხბურთო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა წლის საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელები: ესპანეთის „რეალ-მადრიდი“ (1960 წ.), ურუგვაის „პენიაროლი“ (1961 და 1966), ბრაზილიის „სანტოსი“ (1962 და 1963), იტალიის „ინტერნაციონალე“ (1964 და 1965) და არგენტინის „რესინგი“ (1967).

პირველ მატჩში „პენიაროლმა“ ანგარიშით 3:0 დაამარცხა „რესინგი“.

100 მოჭადრაკის მონაწილეობით

დამთავრდა თბილისის 1969 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც 100 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის, 17 ოსტატობის კანდიდატი და 83 პირველთანრიგოსანი.

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა (გაიმართა 10 ტური). დებულების თანახმად, ფინალში ითამაშებენ პირველ 10 ადგილზე გასული მოჭადრაკეები. ესენი არიან: ვ. ქაბაბჯიანი — 8 ქულა, ჩეჩელიანი, მიქაელიანი, შაქარიანი, თხელიძე და ჯანოევი — 7,5-7,5, ჩერნიშოვი, კ. ქაბაბჯიანი, მეგრელიშვილი და თურქესტანიშვილი — 7-7.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 22 ნორჩი პირველთანრიგოსანი, რომელთაგან უნდა დაკომპლექტდეს რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები. მათ შორის საუკეთესო იყო თბილისის 1968 წლის მოსწავლეთა ჩემპიონი, მე-4 სკოლის მეცნიერულსასელი კ. ჩიგოგიძე, რომელსაც ნახევარი ქულა დააკლდა ფინალში გასასვლელად.

შ. ინწკირველი,
შეჯიბრების მსაჯი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 12046

რედაქტორი მ. კაკაბაძე.